ხელშეკრულება №2013/49
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი 29 ნოემბერი 2013 წელი

სსიპ - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი (შემდგომში - „შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის **ნინო გვაზავას** სახით, და **შპს ალმა პლიუსი** (შემდგომში - „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი ტექნიკური მენეჯერი **რამაზ სულავას** სახით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები" ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება:

1.1. **ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ:** (შემდგომში: „ხელშეკრულება") შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ;

1.2. **ხელშეკრულების ღირებულება:** საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3. **„დღე", „კვირა", „თვე"** - კალენდარული დღე, კვირა, თვე, თუ წინამდებარე ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

1.4. **„შემსყიდველი"** - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.5. **„მიმწოდებელი"** - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში;

1.6. **„მომსახურება"** - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

2.ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია ბეჭდვითი მომსახურება (CPV 798100000)

2.2. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს ერთი ერთეული პოსტერის ბეჭდვა (მასალა პოლიპოსტერი); ზომა 1 X 2,05.

3.ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულებაა 102,31 (ას ორი ლარი და ოცდათერთმეტი თეთრი) ლარი, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადებს, დაკავშირებულს მომსახურების გაწევასთან.

4. ხარისხი

4.1. მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ ხელშეკრულების მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

4.2. მიმწოდებელი პასუხს აგებს გაწეული მომსახურების ხარისხზე, ხოლო შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი მომსახურების გაწევის დროს, თუ აღმოჩნდება ხარვეზი მიმწოდებელი ვალდებულია დაუყონებლივ აღმოფხვრას არსებული ხარვეზი ან დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული მომსახურების ღირებულება.

5.მხარეთა უფლება-მოვალეობები

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

5.1.1. უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდება;

5.1.2. მომსახურების გაწევის პერიოდში დაიცვას კონფიდენციალობა შემსყიდველის მიერ მიწოდებულ ფინანსურ და იურიდიულ ინფორმაციაზე;

5.1.3. მომსახურების გაწევის პროცესში შემსყიდველს მოახსენოს გამოვლენილი პრობლემების შესახებ, გაუწიოს მას სათანადო კონსულტაციები მათ აღმოსაფხვრელად;

5.1.4. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა აწარმოოს წერილობით;

5.1.5. ხელი შეუწყოს შემსყიდველს ინსპექტირების განხორციელებისას;

5.1.6. მომსახურების გაწევა შემსყიდველისათვის განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში;

5.1.7. განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

5.2.1. შემსყიდველის მოსთხოვოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;

5.3. შემსყიდველი ვალდებულია:

5.3.1. განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება;

5.4. შემსყიდველი უფლებამოსილია:

5.4.1. მიმწოდებლისაგან მოითხოვოს მომსახურების გაწევა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებში;

5.4.2. შეამოწმოს მომსახურების გაწევის ხარისხი, მომსახურების გაწევის მიმდინარეობა;

6. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

6.1. ანგარიშწორება „შემსყიდველი"-ს მიერ მოხდება ეროვნულ ვალუტაში მომსახურების სრულად გაწევიდან და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, მომწოდებლის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის გზით.

6.2. ანგარიშსწორები ვალუტა: ლარი;

6.3. ანგარიშსწორების ფორმა: უნაღდო - მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის გზით.

6.4. დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ხაზინა

7. მიღება-ჩაბარების წესი:

7.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის მიზნით, შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი;

7.2. მომსახურება ჩაითვლება გაწეულად მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ;

7.3. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლება ენიჭება **ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი სოფიო ჭიჭინაძეს.**

8. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

8.1. მომსახურების გაწევის ადგილია შემსყიდველის ადგილსამყოფელი - საქართველო, ქალაქი თბილისი, გულუას ქ. №6

8.2. მომსახურების გაწევა უნდა **განხორციელდეს 2013 წლის 10 დეკემბრამდე.**

9. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების **კონტროლს განახორციელებს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს სოფიო ჭიჭინაძეს**

9.2. კონტროლი გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლს;

9.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

10.1. მხარეებმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები უნდა შეასრულონ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, ხელშეკრულებით დათქმულ დროსა და ადგილას. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის ან არსებითად დარღვევისათვის ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

10.2. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა და ამოქმედების პირობები განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულებით;

10.3. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს ჯარიმა ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით;

10.4. არაჯეროვნად შესრულებას წარმოადგენს უხარისხო მომსახურების გაწევა. ამასთან არაჯეროვნად გაწეულად მიიჩნევა ნებისმიერი ვალდებულების შეუსრულებლობა, რომელიც ნაკისრი აქვს მიმწოდებელს წინამდებარე ხელშეკრულებით, გარდა 10.5 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა.

10.5. მიმწოდებლის მიერ დაგვიანებით შესრულებას წარმოადგენს მომსახურების გაწევის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის დარღვევა, რისთვისაც შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დროულად გაუწეველი მომსახურების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაზლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;

11.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულებისპირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულებების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით;

11.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

11.5. მხარე ვალდებულია 10.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5

დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

11.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

12. დაუძლეველი ძალა

12.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

12.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუზლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

12.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ნებისმიერი დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. ხელშეკრულება ძალაში შედის 2013 წლის 29 ნოემბერს და მოქმედებს 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

15. გარდამავალი და დასკვნითი დებულებები:

15.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე;

15.2. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ორი ინახება „შემსყიდველთან", ხოლო მეორე - „მიმწოდებელთან".

16. მხარეთა ხელმოწერები:

„შემსყიდველი"
სსიპ - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი
მისამართი: თბილისი, გულუას ქუჩა №6
საიდენტიფიკაციო კოდი: 206 351 730;

"მიმწოდებელი"
შპს ალმა პლიუსი
მისამართი: თბილისი, ხეთაგუროვის #6
საიდენტიფიკაციო ნომერი: 204 873 388
ბანკი: თიბისი ბანკი
ბ/კოდი: TBCBGE22
ა/ა: GE75 TB11 0000 0002 4670 90

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი:

ნინო გვაზავა _____

~~დირექტორი~~

რამაზ სულავა _____

მიღება-ჩაბარების აქტი

N 2013/49-1

თბილისი 06 დეკემბერი 2013წ.

ერთის მხრივ, **სსიპ - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი** (შემდგომში -**„შემსყიდველი“**), წარმოდგენილი ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის, **სოფიო ჭიჭინაძის** სახით, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე და მეორეს მხრივ, **შპს „ალმა პლიუსი“** (შემდგომში - **„მიმწოდებელი“**), წარმოდგენილი დირექტორის, **ლევან კალმახელიძის** სახით, რომელიც ასევე მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, 2013 წლის 29 ნოემბრის №2013/49 ხელშეკრულების შესაბამისად ვადგენთ მიღება-ჩაბარების აქტს მასზედ, რომ მიმწოდებელმა გაუწია, ხოლო შემსყიდველმა მიიღო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ბეჭდვითი მომსახურება, კერძოდ: ერთი ერთეული პოსტერის ბეჭდვა (მასალა პოლიპოსტერი), ზომა 2,05.

მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს 102,31 (ას ორი ლარი და ოცდათერთმეტი თეთრი) ლარს.

მიღება-ჩაბარების აქტი შედგენილია სამი თანაბარ იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ორი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, ხოლო ერთი - მიმწოდებელთან.

სსიპ - გარემოსდაცვით ინფორმაციისა
და განათლების ცენტრი

სოფიო ჭიჭინაძე

შპს „ალმა პლიუსი“

ლევან კალმახელიძე